გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს

განკარგულება № 123

2020 წლის 11 სექტემბერი

ქ. გორი

ქალაქ გორში, კირიონ II-ის ქუჩაზე და ლომოურის ქუჩის მონაკვეთზე (ეკლესიიდან მეორე საჯარო სკოლამდე) საგზაო ნიშნების განთავსების შესახებ

ქალაქ გორის ქუჩებში (მათ შორის კირიონ II-ის ქუჩაზე და ლომოურის ქუჩაზე) დაგეგმილია ველობილიკების მოწყობა, აქედან გამომდინარე გორის მუნიციპალიტეტის მერიას საჭიროდ მიაჩნია, რომ კირიონ II-ის ქუჩა და ლომოურის ქუჩის მონაკვეთი (ეკლესიიდან მეორე საჯარო სკოლამდე) ავტოტრანსპორტის მოძრაობისთვის გადაკეთდეს ცალმხრივად. ზემოაღნიშნულის განახორციელებლად და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ქალაქ გორში საჭიროა დაიდგას შემდეგი საგზაო ნიშნები: ა) კირიონ II-ის ქუჩა (სტალინის გამზირი №29-ის მიმდებარედ)-5.5 „ცალმხრივ-მოძრაობიანი გზა"; ბ) კირიონ II-ის ქუჩა (ლომოურის ქუჩის კვეთასთან,კირიონ II-ის ქუჩა №2-ის მიმდებარედ) -3.1 „შესვლა აკრძალულია", გ) ლომოურის ქუჩა (ლომოურის ქუჩა №9-ის მიმდებარედ)-5.5 „ცალმხრივ-მოძრაობიანი გზა"; დ) ლომოურის ქუჩა (კირიონ II-ის ქუჩის კვეთასთან, ლომოურის ქუჩა №7-ის მიმდებარედ) -3.18.2 „მარცხნივ მოხვევა აკრძალულია"; ე) ლომოურის ქუჩა (ლომოურის ქუჩა №16-ის მიმდებარედ) -3.1 „შესვლა აკრძალულია", ვ) გოგებაშვილის ქუჩა (ეკლესიის სკვერის მიმდებარედ) - 3.18.2 „მარცხნივ მოხვევა აკრძალულია".

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია მითითებული საგზაო ნიშნების დადგმა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, „საგზაო მოძრაობის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. ქ. გორში დაიდგას შემდეგი საგზაო ნიშნები:

ა) კირიონ II-ის ქუჩა (სტალინის გამზირი №29-ის მიმდებარედ)-5.5 „ცალმხრივ-მოძრაობიანი გზა";

ბ) კირიონ II-ის ქუჩა (ლომოურის ქუჩის კვეთასთან, კირიონ II-ის ქუჩა №2-ის მიმდებარედ) -3.1 „შესვლა აკრძალულია“,

გ) ლომოურის ქუჩა (ლომოურის ქუჩა №9-ის მიმდებარედ)-5.5 „ცალმხრივ-მოძრაობიანი გზა“;

დ) ლომოურის ქუჩა (კირიონ II-ის ქუჩის კვეთასთან, ლომოურის ქუჩა №7-ის მიმდებარედ) - 3.18.2 „მარცხნივ მოხვევა აკრძალულია“;

ე) ლომოურის ქუჩა (ლომოურის ქუჩა №16-ის მიმდებარედ) -3.1 „შესვლა აკრძალულია“,

ვ) გოგებაშვილის ქუჩა (ეკლესიის სკვერის მიმდებარედ) - 3.18.2 „მარცხნივ მოხვევა აკრძალულია“.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე